ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3723180001**
თარიღი:**30/06/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 27 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კომისიამ აღნიშნა,რომ შეტანილ იქნა გაცემის წესში მუხლი მე-11 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამიდან, მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაცია ითვალისწინებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული 2 წლიდან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურებას.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი